დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

აგვისტო-სექტემბერი
2024

ვარშავის აჯანყებისთვის მიძღვნილ გამოფენაზე ქართველი ოფიცრების თავდადება გაიხსენეს

2 აგვისტოს, ქ. ვარშავის სამეფო სასახლეში გაიმართა გამოფენა სახელწოდებით - „უცხოელები ვარშავის აჯანყებაში“. გამოფენის ორგანიზატორი გახლდათ პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი და იგი 1944 წლის ვარშავის აჯანყების 80 წლისთავს მიეძღვნა. საქართველო გამოფენაზე ცალკე სტენდით იყო წარმოდგენილი. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთის არმიაში 108 ქართველი ოფიცერი ირიცხებოდა, მათ შორის 16 წლის ირინა სხირტლაძე, რომელიც აჯანყების პირველივე დღეებიდან აქტიურად ჩაება ანტიფაშისტურ მოძრაობაში. გამოფენის ქართული სტენდი სწორედ მათი თავდადების მომენტებს ასახავდა. ღონისძიებას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში, დიანა ჟღენტი, საელჩოს თანამშრომლები და პოლონეთში ქართული დიასპორის წევრები ესწრებოდნენ.

ბრიუსელის საკათედრო ტაძარში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღევლინა

7 აგვისტოს, საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსის, მეუფე დოსითეოსის კურთხევით, ბრიუსელის საკათედრო ტაძარში, ანტვერპენის წმინდა ნინოს ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა დავითმა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა, რომელსაც ესწრებოდნენ ბელგიასა და ჰოლანდიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წევრები, ქართული საკვირაო სკოლების პედაგოგები, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოსთან საქართველოს საელჩოს/ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენლობისა და ნატო-სთან საქართველოს მისიის თანამშრომლები.

ვილნიუსში რუსეთის მხრიდან საქართველოს 2008 წლის სამხედრო ინტერვენციის 16 წლისთავის ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო

8 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე, ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ვილნიუსის ოკუპაციისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის მუზეუმში, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს განხორციელებული ღია, სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის 16 წლისთავთან დაკავშირებით ფოტოგამოფენა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს განუყოფელი რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის უკანონო ოკუპაციისა და დევნილთა იძულებითი გადაადგილების პროცესის ამსახველი ფოტომასალა. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრისა და მეგობრობის ხიდის - „ქართლოსი“, აგრეთვე, ფოტოგრაფების - რაიან ჯონ ჯონსისა და მალკოლმ ლინტონის მიერ მომზადებული ნამუშევრები გამოიფინა როგორც მუზეუმის ღია ცისქვეშა სივრცეში, აგრეთვე, შენობაში. გამოფენას განსაკუთრებით სტუმრობდნენ ლიეტუვაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები.

აგვისტოს ომის ამსახველი ფოტოგამოფენა ნორვეგიაში

9 აგვისტოს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მე-16 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩოში გაიმართა აგვისტოს ომის ამსახველი ფოტოგამოფენა და მიღება, რომელსაც დაესწრნენ ნორვეგიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები. წუთიერი დუმილის შემდეგ, საზოგადოებას სიტყვით მიმართა ნორვეგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ზურაბ ბერიძემ.

ბაჩკოვოს მონასტერში 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართა

10 აგვისტოს, ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით და ბაჩკოვოს (პეტრიწონი) მონასტრის წინამძღვრის კურთხევით, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართა. პანაშვიდს ქვეყნის სხვადასხვა ეპარქიის სასულიერო პირები და ბულგარეთში საქართველოს სათვისტომოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნორჩი ქართველი მუსიკოსები უკრაინის კულტურის დღეებზე ჰანოვერში

24 აგვისტოს გერმანიის ქ. ჰანოვერში მოქმედი გერმანულ-ქართული სახლის ბავშვთა ვოკალური გუნდი ჰანოვერში, უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე - „უკრაინის კულტურის დღეები ჰანოვერში“, პირველად წარსდგა მაყურებლის წინაშე და შეასრულა პოპულარული ქართული ქალაქური და ხალხური სიმღერები.

ანსამბლ „ნანილას“ წარმატება ხორვატიაში

26 აგვისტოს, ხორვატიის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე, ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლოსთან არსებულმა ანსამბლმა „ნანილა“ (ხელმძღვანელი: მაია სიმონიშვილი) მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ძლიერი კონკურენციის მიუხედავად, გუნდმა კონკურსის ორივე კატეგორიაში - „ქართული საეკლესიო საგალობელნი“ და „ქართული ტრადიციული მუსიკა“ - მაღალ დონეზე წარმოადგინა თავისი შესაძლებლობები და ანსამბლს გამარჯვება მოაპოვებინა.

თესალონიკის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში ღვთისმსახურებას პირველად დაესწრო თესალონიკის მიტროპოლიტი ფილოთეოსი

28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქ. თესალონიკის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში პროტოპრესვიტერმა გიორგი მათურელმა სადღესასწაულო წირვა აღავლინა. წირვას თესალონიკში ქართული სამრევლოს არსებობის მანძილზე პირველად დაესწრო თესალონიკის მიტროპოლიტი, მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა, ფილოთეოსი. წირვას აგრეთვე, ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები, მათი ოჯახის წევრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ქადაგების დროს მიტროპოლიტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბერძენი და ქართველი ხალხის სულიერ კავშირზე, ისაუბრა წმინდა ნიკოლოზის ტაძარში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე წარმართვის მნიშვნელობაზე.

„საქართველო ემიგრანტი ბავშვების თვალით“

3 სექტემბერს, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და ჩეხეთის ქართული სათვისტომოს „ივერია“ ხელშეწყობით, საქართველოს საელჩოში გაიმართა შემოქმედებითი საღამო - „საქართველო ემიგრანტი ბავშვების თვალით“. საღამოს უძღვებოდა, სამხატვრო სკოლის „კერა“ პედაგოგი, მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე, დარეჯან ნოზაძე. პროექტი მიზნად ისახავდა ჩეხეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების სამშობლოსთან და თანამემამულეებთან კავშირების განმტკიცებას. ღონისძიების ფარგლებში, 5-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებმა შექმნეს სამხატვრო ნამუშევრები საქართველოს თემაზე. შემოქმედებითი პროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა ნამუშევრების პრეზენტაცია და მონაწილე ბავშვებისთვის სიგელების გადაცემის ცერემონია.

პლუნგესა და ყვარლის წარმატებული ერთობლივი პროექტი

6 სექტემბერს, ლიეტუვის ქ. პლუნგეს ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ. ვიზიტი წარმოადგენდა პლუნგესა და ყვარლის თანამშრომლობისა და პროექტის- „მოთანამშრომლე ყვარელი: ძლიერი კავშირების ჩამოყალიბება საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორებს შორის“ დასკვნითი ფორუმის ოფიციალურ ნაწილს, რომელზეც მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ასეთი პროექტები ხელს უწყობს ორი ქვეყნის რეგიონებს შორის გამოცდილების გაზიარებას და მჭიდრო თანამშრომლობის გაძლიერებას ორ ქვეყანასა და ლიეტუვაში არსებულ ქართულ დიასპორასთან. დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პლუნგეს მერმა აუდრიუს კლიშონისმა და ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს კონსულმა ეკატერინე ჭავჭავაძემ. ფორუმის მონაწილეები იმედოვნებენ, რომ მსგავსი ტიპის პროექტები მომავალშიც გაგრძელდება.

კახის რაიონში ფეხბურთში მოზარდთა შორის ჩემპიონატი გაიმართა

6-21 სექტემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში ქართულ სოფლებსა და უბნებს შორის ჩატარდა მოზარდთა ჩემპიონატი ფეხბურთში. 2024 წელს პირველად გაიმართა გათამაშება u17 ასაკობრივ კატეგორიაში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდები - „კაკისთავი“ და „ალათემური“. საკმაოდ დაძაბულ მატჩში გაიმარჯვა კაკისთავის u17 გუნდმა - ანგარიშით 3-1. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები და მოთამაშეები დააჯილდოვა „ჰერეთის სახლის“ ხელმძღვანელმა, ვასილ პაპიაშვილმა.

კიშინეუს პარკში ფილმ „მანდარინების“ ჩვენება გაიმართა

7 სექტემბერს, მოლდოვის რესპუბლიკის დედაქალაქის კიშინეუს პარკ "Alunelul"-ში საქართველოს საელჩოს და მოლდოვას რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის ორგანიზებით, გაიმართა ქართულ-ესტონური ფილმის „მანდარინები“ (რეჟისორი - ზაზა ურუშაძე) ჩვენება. ჩვენებას ესწრებოდნენ მოლდოვაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები, მოლდოვის კინემატოგრაფიის სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. ჩვენება მისასალმებელი სიტყვით გახსნა მოლდოვის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველმა ვაჟა გვარამიამ, რომელმაც ყურადღება ქართულ-ესტონური კო-პროდუქციის თვალსაჩინო შედეგზე და თანამშრომლობის წარმატებაზე გაამახვილა.

შეხვედრა თესალონიკის ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან

8 სექტემბერს, ქ. საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევან ბერიძემ და ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა გელა ჯაფარიძემ თესალონიკის ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრების მნიშვნელობას და აქტიურ თანამშრომლობას ქართული კულტურის წარმოჩენისათვის, დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობისა და გაძლიერებისათვის. დისკუსიის პროცესში გამოიკვეთა ადგილსამყოფელი ქვეყნის დიასპორულ ორგანიზაციათა საჭიროებები, გამოწვევები, ისაუბრეს მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე და ასევე, უახლოეს მომავალში დაგეგმეს გენერალური კონსულის გაფართოებულ ფორმატში შეხვედრა თესალონიკში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან.



ქართულ-თურქული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა სტამბოლის ბეიქოზის ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა

8 სექტემბერს, ქ. სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და „ქ. სტამბოლის ბეიქოზის ბათუმისა და მისი შემოგარენის ქართული კულტურისა და ურთიერთდახმარებისა და ართვინელთა კულტურისა და ურთიერთდახმარების ასოციაციების“ ორგანიზებით, ბეიქოზის ტრადიციული ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართულ-თურქული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა. ფესტივალს, ანკარაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული, დიანა მალაზონია, სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსული ალექსანდრე ჯიშკარიანი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ქართული დიასპორული ასოციაციების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. ღონისძიების გახნის ცერემონიაზე, საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დიანა მალაზონიამ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ბეიქოზის ქართული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელს, ალი ქემალ ქილიჩს სამადლობელი სიგელი გადასცა.

ანსამბლმა „კოლხიდა“ ლე-ჰავრში ასოციაციების ფორუმში მიიღო მონაწილეობა

8 სექტემბერს, საფრანგეთის ქ. ლე-ჰავრის მერიის ორგანიზებულ, ასოციაციების ფორუმზე „Forum des Associations 2024“, ტრადიციული ქართული ცეკვების დიასპორული სტუდია "კოლხიდა" გახლდათ მიწვეული. სტუდიამ ფორუმზე ქართული კუთხე/პავილიონი მოაწყო და მაყურებელის წინაშე ქართული ცეკვების მრავალფეროვნება წარმოაჩინა.

ნიდერლანდების ქალაქ ეპეში ფონდმა „იმედი“ კლასიკური მუსიკის საქველმოქმედო კონცერტი გამართა

14 სექტემბერს, ნიდერლანდების ქ. ეპეს ისტორიულ ტაძარში (Grote Kerk Epe), ფონდის „იმედი“ ხელმძღვანელის, ხატია ხაბულიანის ინიციატივითა და მხარდაჭერით, კლასიკური მუსიკის საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ახალი თაობის ნიჭიერმა ქართველმა და ჰოლანდიელმა შემსრულებლებმა: ანდრია ბუხსიანიძემ, გიორგი მეგრელიშვილმა, ლილიან ვოსენმა და ქსიაოკუნგ ჟიუმ.
აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით სოლომონიამ.
კონცერტს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები. შესვენების დროს მოეწყო ქართული ღვინისა და კერძების დეგუსტაცია. ღონისძიებიდან შემოსული თანხა საქართველოში ხანდაზმულთა თავშესაფარს გადაეცემა.

„ქართველთა კულტურის კერა - ლაზმა“ პარიზის მე-18 უბნის ასოციაციების ფორუმში მიიღო მონაწილეობა

14 სექტემბერს, ქ. პარიზში, პარიზის მე-18 უბნის ასოციაციების ფორუმი გაიმართა. ფორუმზე წელსაც, თავისი აქტივობებით „ქართველთა კულტურის კერა - ლაზი“ წარსდგა. როგორც ყოველთვის, ქართულმა ხალხურმა ხელოვნებამ დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი დაიმსახურა, ქართული ხელოვნების შესწავლის მსურველები სხვადასხვა წრეებზე ჩაეწერნენ.
ფორუმზე პარიზის მე-18 უბნის მერმა, ერიკ ლეჟუენდღმა ქართველებს სეზონის დასაწყისი მიულოცა და წარმატებული სასწავლო წელი უსურვა.

,,პატარა საქართველომ სენ ბრიეში“ ბრესტის ასოციაციების ფორუმში მიიღო მონაწილეობა

14 სექტემბერს, საფრანგეთის ქ. ბრესტში დიასპორულმა ასოციაციამ ,,პატარა საქართველო სენ ბრიეში“ (ხელმძღვანელი ვალერი შარიპოვი) ბრესტის ასოციაციების ფორუმში მიიღო მონაწილეობა. ქართული პავილიონის მასპინძლები (ფილიალის ხელმძღვანელი ია გოდერძიშვილი, ასოციაციის მოხალისეები) საქართველოს კულტურის პოპულარიზაციას ეწეოდნენ და დაინტერესებულ სტუმრებს, მათ შორის, ქალაქის მერს, ფრანსუა გილანდრს და მის მოადგილეს, ერიკ გელეკს „სენ ბრიეში პატარა საქართველოს“ აქტივობებზე ესაუბრებოდნენ.

ასოციაცია „ქართველები საფრანგეთში“ სასენაჟის ფესტივალზე

15 სექტემბერს, გრენობლთან ახლომდებარე ქალაქ სასენაჟში, ასოციაციების ფესტივალი გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ასოციაციებთან ერთად ქართულმა დიასპორულმა ასოციაციამ „ქართველები საფრანგეთში / Géorgiens en France“ მიიღო მონაწილეობა. ქართულ პავილიონში წარმოდგენილი იყო ქართული ტრადიციული სამზარეულო, სხვადასხვა მარკის ღვინოები, ქართული სუვენირები და ლიტერატურა.
ასოციაციის წევრები დაინტერესებულ სტუმრებს პოპულარულ ენაზე საქართველოს ისტორიას და კულტურას აცნობდნენ.

ანსამბლ „ნანილას“ მოცეკვავეებმა კატანიის ოპერის სცენაზე „აბესალომ და ეთერის” იტალიურ წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა

15 სექტემბერს, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) კურთხევით, ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლოს ტაძართან არსებულმა ანსამბლმა „ნანილამ“ (ქორეოგრაფი რიტა სიმსივე) მონაწილეობა მიიღო ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერი“ წარმოდგენაში, რომელიც ქალაქ კატანიაში (სიცილია) იტალიურ ენაზე, Massimo Bellini - ს თეატრში დაიდგა.

ტორონტოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის ეზოში ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

15 სექტემბერს, ტორონტოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, მამა თომას (თომა ბეკურიშვილი) ორგანიზებით, გაიმართა ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ტაძრის ეზოში წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამზარეულო. ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა საწნახელში დაწურეს ყურძენი. დამსწრეთ მიეცათ ჩურჩხელების ამოვლებისა და ხინკლის მოხვევის შესაძლებლობა.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ივერიონი“ ქართული ცეკვები და სიმღერები შეასრულა. კანადაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2024 წლის გამარჯვებულმა, მაკა ტოხიშვილმა ქართული დიასპორის გამორჩეულ წარმომადგენლებს სამადლობელი სიგელები გადასცა.

თავის მისასალმებელ სიტყვაში მამა თომამ ხაზი გაუსვა ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობას და მადლობა გადაუხადა კანადაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლობისა და გვერდში დგომისთვის. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა კანადაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, ბაქარ მაკარიძემ. ღონისძიების ბოლოს გაიმართა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებულებს გადაეცათ წმინდა გიორგის თასი, საელჩოს სიგელი და ფულადი ჯილდო.

ანსამბლი „ლაშარის ჯვარი ლიონში“ საერთაშორისო ფესტივალზე წარსდგა

21 სექტემბერს, ქ. ლიონში ჩატარდა მსოფლიო საერთაშორისო ფესტივალი (Fête des Banniéres du Monde), სადაც საქართველო წარადგინა ანსამბლმა „ლაშარის ჯვარი ლიონში“. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ანსამბლის საცეკვაო და ქართული სამოსის გამოფენა-პრეზენტაცია.

ასოციაციამ GIMPHA ლისაბონში მეთექვსმეტე სამედიცინო კონფერენცია გამართა

21 სექტემბერს, ქ. ლისაბონში, პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გაიმართა ჯანდაცვის საერთაშორისო ასოციაციის - GIMPHA რიგით მეთექვსმეტე ყოველწლიური კონფერენცია.

GIMPHA 2012 წელს, ნიდერლანდების სამეფოში დაარსდა, სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველი ექიმების მიერ და მიზნად ისახავს საქართველოში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, სამედიცინო სფეროს განვითარებას და ქართველი კოლეგების პროფესიულ ხელშეწყობას. კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პორტუგალიის რესპუბლიკაში, გიორგი მირცხულავამ და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, მუხრან გულაღაშვილმა. მომხსენებლებმა იმსჯელეს საქართველოში სამედიცინო სფეროს აქტუალურ საკითხებზე, განიხილეს არსებული შესაძლებლობები მსოფლიოს მასშტაბით და წარადგინეს სამომავლო პროექტები.

ქართულმა დიასპორამ თესალონიკის საერთაშორისო კულინარიულ ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა

22 სექტემბერს, ქ. თესალონიკში კულინარიის საერთაშორისო საქველმოქმედო ფესტივალი გაიმართა, რომელზეც ქართულმა პავილიონმა განსაკუთრებული დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა. პავილიონზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მარკის ქართული ღვინოები და თესალონიკში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების, ასევე, თესალონიკში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების წევრთა მიერ დამზადებული კერძები.

ფესტივალს სტუმრობდნენ თესალონიკის ადგილობრივი ხელისუფლების წევრები, დიპლომატიური კორპუსისა და მასმედიის წარმომადგენლები, ტურისტები და ადგილობრივი მაცხოვრებლები. ფესტივალის სტუმრების წინაშე მუსიკალური ნომრებით წარდგა თესალონიკში არსებული ცეკვის ანსამბლი „ლომისი“ (ხელმძღვანელი ბექა ჟამურელი) და ახალგაზრდა ვოკალისტთა ჯგუფი ხვიჩა თომაშვილის ხელმძღვანელობით. თესალონიკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, გელა ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა კულინარიის ფესტივალის ორგანიზატორებს და ქართველ ემიგრანტებს, რომლებმაც ღირსეულად წარმოაჩინეს ქართული კულტურა და ტრადიციული სამზარეულო.

თესალონიკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ქალაქ ნეა-მუდანიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან გამართა შეხვედრა

25 სექტემბერს, ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, გელა ჯაფარიძემ გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა ქ. ნეა-მუდანიის მერთან, ემმანუილ კარრასთან და ნეა-მუდანიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან. შეხვედრაზე გენერალურმა კონსულმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და საბერძნეთს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების მზარდ დინამიკასა და ქართველებისა და ბერძნების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას; ქართული დიასპორის ხელშეწყობის მნიშვნელობას და ამ კუთხით ორივე მხრიდან აქტიურობის საჭიროებას. გენერალურმა კონსულმა ასევე, აღნიშნა, რომ ნეა-მუდანიაში ,,ქართული კულტურის ასოციაციის“ დაარსება იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს კულტურული ღონისძიებების ინტენსივობას და საბერძნეთში ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციას. ვიზიტის ფარგლებში, გენერალურმა კონსულმა და საკონსულოს თანამშრომლებმა შეხვედრა გამართეს საქართველოს მოქალაქეებთან და სხვადასხვა საკონსულო და სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციები ჩაუტარეს.

ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩომ და საკონსულომ ქართულ დიასპორასთან შეხვედრა გამართა

25 სექტემბერს, ქალაქ მადრიდში, ესპანეთის სამეფოში საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ნატო ჩიქოვანმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან მართვის მოწმობის გადაცვლის პროცედურების პირობებისა და აუცილებელი დოკუმენტაციის თაობაზე საინფორმაციო შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე, ესწრებოდა საქართველოს კონსული ესპანეთის სამეფოში ზაზა ნადირაძე. საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა და კონსულმა თანამემამულეებს ამომწურავი პასუხები გასცეს როგორც მართვის მოწმობის გადაცვლის პროცედურების შესახებ, ისე მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის პროცედურებზე, საქართველოს საელჩოს მიერ დაგეგმილ აქტივობებზე და სამომავლო გეგმებზე.

საქართველოს მონაწილეობა ნიდერლანდების სამეფოში ენების ევროპულ დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში

26 სექტემბერს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის კულტურის ეროვნული ინსტიტუტების EUNIC Netherlands მიერ ენების ევროპულ დღესთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებებში. როტერდამის ფრანგული ინსტიტუტის Alliance Française სივრცეში, ქართული ენის ნიდერლანდელმა სპეციალისტმა, ლაიდენის უნივერსიტეტის ლექტორმა, იესე ვიხერს-სხრეულმა სკოლის მოსწავლეების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის ქართული ენის გაკვეთილები ჩაატარა. ღონისძიებას დაესწრო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში, დავით სოლომონია. მან დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა. ამსტერდამის საჯარო სივრცეში - De Hallen Amsterdam ქართული ენის კუთხე მოეწყო და ლიტერატურული საღამო გაიმართა, სადაც ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველმა ლიტერატორმა, არჩილ ჯავახაძემ ნიდერლანდურ ენაზე მის მიერ თარგმნილი წიგნი - „შოთა რუსთაველი XXI საუკუნეში“ - წარადგინა.

ქართველი-შვედი ხელოვანის ფოტო-გამოფენა სტოკჰოლმის ცენტრალურ გალერეაში

26 სექტემბერს, ქ. სტოკჰოლმის ცენტრალურ გალერეაში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ქართველი-შვედი ფოტოგრაფისა და ხელოვანის, მიკაელ ნასბერგის ფოტო-გამოფენა გაიმართა. ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო კავშირების სადემონსტრაციოდ, ღონისძიებაზე საქართველოსა და შვედეთის სხვადასხვა კუთხეში გადაღებული უნიკალური ფოტო-ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. საელჩოს სახელით, საქართველოსა და შვედეთს შორის სოციალურ და კულტურის სფეროში ურთიერთობების ხელშეწყობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მიკაელ ნასბერგს მადლობის სიგელი გადაეცა. გამოფენას ესწრებოდნენ როგორც შვედეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ისე შვედეთის მას-მედიის, შოუ-ბიზნესის, ხელოვნების სფეროს, სამეცნიერო წრეებისა და დიასპორის წარმომადგენლები.

ფრესნო დე ლა ვეგაში გამართულ რეგიონულ ფესტივალში საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობდა

27-29 სექტემბერს, ესპანეთის სამეფოში, კასტილია და ლეონის რეგიონის ქალაქ ფრესნო დე ლა ვეგაში გაიმართა კულტურის ფესტივალი, სადაც სტუმარი ქვეყნის სტატუსით საქართველომ მონაწილეობა მიიღო. რეგიონის კულტურის ფესტივალი ქალაქის მერმა ალფონსო ნიკოლასმა და ესპანეთის სამეფოში საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ნატო ჩიქოვანმა გახსნეს. თავის სიტყვაში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ნატო ჩიქოვანმა ყურადღება გაამახვილა ჩვენი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზე, მეღვინეობასა და გასტრონომიაზე.

ფესტივალის ფარგლებში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კულინარიული მასტერ-კლასები, გამოფენები და მუსიკალური წარმოდგენები, რესტორანმა „ნუნუკა“ ქართული კერძები წარმოადგინა, მადრიდის ქართული ცეკვის აკადემიამ „Georgia“ ქართული ფოლკლორული მუსიკის კონცერტი გამართა.

წლევანდელ ფესტივალს 50.000-მდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის იყვნენ რეგიონული მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლები, მეწარმეები, ჟურნალისტები, ადგილობრივი მოსახლეობა და ქართული დიასპორა. 2 დღის განმავლობაში ფესტივალი ადგილობრივი მედიის ყურადღების ცენტრში იყო. ღონისძიებას სპეციალური გადაცემა მიეძღვნა. ასევე, დაიწერა არაერთი სტატია, სადაც საუბარი იყო ქართულ კულტურაზე, გასტრონომიასა და ღვინოზე.

გერმანიაში საქართველოს საელჩოს ბაზაზე შექმნილმა საკვირაო სკოლამ მეორე სასწავლო წელი დაიწყო

28 სექტემბერს, ქ. ბერლინში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში, ევროპული ენების დღის აღსანიშნავად, საელჩოს ბაზაზე შექმნილი ქართული საკვირაო სკოლის - „ანი ბანის“ პირველი სასწავლო წლის წარმატებით დასრულებასა და მეორე სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სპეციალური შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში პატარა თანამემამულეებს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან იზორიამ ნაყოფიერი განვლილი წელი მიულოცა და ახალ სასწავლო წელს წარმატებები უსურვა. საქართველოს ელჩმა მოსწავლეებს საჩუქრად საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული საჩუქრები - ქართული ენის ისტორიის ამსახველი საინფორმაციო ბროშურები, ქართული ანბანი და კალენდრები გადასცა. საკვირაო სკოლის დამფუძნებლებმა და დიასპორის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ელჩს მუდმივი ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის.

დრეზდენის ქართულმა დიასპორამ ინტერკულტურულ დღეებში მიიღო მონაწილეობა

28 სექტემბერს, გერმანიის ქ. დრეზდენში რიგით 34-ე ინტერკულტურული ღონისძიება გაიმართა, რომელშიც დიასპორულმა ორგანიზაციამ - „ქართველები დრეზდენში“ მიიღო მონაწილეობა და ქართული სტენდი წარადგინა. ღონისძიებაზე საზოგადოებასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის - „ანაბანა“- მოსწავლეებმა და მოზარდთა გუნდმა ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს. ქართველმა ემიგრანტებმა ღონისძიებაზე ტრადიციული ქართული კერძები მოამზადეს, რომელმაც გერმანული საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია.

ესპანეთის სამეფოს ქ. ლა ნუსიაში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით "იბერიული ცივილიზაცია"

28 სექტემბერს, ესპანეთის სამეფოს ქ. ლა ნუსიაში, ალიკანტეს ქართული დიასპორული ორგანიზაციის - „საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ ძალისხმევითა და ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს, ასევე ქ. ლა ნუსიას მერიის მხარდაჭერით, გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „იბერიული ცივილიზაცია“.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდიმ, საქართველოს გენერალურმა კონსულმა ალექსანდრე ჭკუასელმა და ქ. ლა ნუსიას ვიცე მერმა პედრო იორეტმა. სიტყვით გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიების გამართვას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში. ღონისძიების ფარგლებში ნაჩვენები იყო ქართული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი: “საქართველო ღვინის სამშობლო”. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, ხელოვნებას, ფოლკლორსა და გასტრონომიას.

ღონისძიებაზე საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ალექსანდრე ჭკუასელმა ასოციაციის - „საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ პრეზიდენტს, მანანა გოგოლაძეს გაწეული ღვაწლისთვის მადლობის სიგელი გადასცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული კინოცენტრის დელეგაციის წევრები, ალიკანტეში, ვალენსიაში და ლა ნუსიაში მცხოვრები თანამემამულეები, ადგილობრივი მოქალაქეები და ლა ნუსიას მერიის ხელმძღვანელი პირები, ასევე, ალიკანტეში აკრედიტებული საკონსულო კორპუსის წარმომადგენლები.

ღონისძიება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის - „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაიმართა.

ორდუში „კავკასიის ქართული კულტურისა და განვითარების ასოციაციის“ სათაო ოფისი გაიხსნა

29 სექტემბერს, თურქეთის ქ. ორდუში, „კავკასიის ქართული კულტურისა და განვითარების ასოციაციის“ სათაო ოფისის გახსნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებას ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური კონსული ნიკოლოზ იაშვილი, ქ. ანკარაში საქართველოს მრჩეველი ბელა გომურაშვილი, ქ. ტრაპიზონში საქართველოს ვიცე-კონსული თემურ ტარტარაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი საღამო და ანსამბლ „თამარიონნის“ კონცერტი პარიზში

29 სექტემბერს, ქ. პარიზში, წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანტონ კანდელაკის ხელმძღვანელობით, პარიზში მოქმედ ასოციაციასთან „თამარიონი“ არსებულმა ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „თამარიონნი“ ლუქსემბურგის ბაღში კონცერტი გამართა. ანსამბლის წევრები მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური ცეკვებით წარსდგნენ.

იმავე დღეს, ქ. პარიზში, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის კურთხევით და წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანტონ კანდელაკის ხელმძღვანელობით, შემოქმედებითი საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილეობას იღებდნენ პოეტები ტარიელ ხარხელაური, ეთერ თათარაიძე და თუშური სიმღერების უბადლო შემსრულებელი ლელა თათარაიძე. საღამოს ესწრებოდა პარიზში და მის შემოგარენში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ნიუ ჯერსის წმ. გრიგოლ ხანძთელის ქართულ ეკლესიასთან არსებულ სკოლაში „ლაზარე“ შემოდგომის დღესასწაული იზეიმეს

30 სექტემბერს, ნიუ ჯერსის წმ. გრიგოლ ხანძთელის ქართულ ეკლესიასთან არსებულ სკოლაში „ლაზარე“ შემოდგომის დღესასწაული მოეწყო, სადაც სკოლის აღსაზრდელებმა შემოდგომის თემაზე დადგმული სხვადასხვა აქტივობები განახორციელეს. მათ შემოდგომის ფოთლებით გააფორმეს საქართველოს დროშა და ქართული ანბანი და ამოავლეს ჩურჩხელები.

საფრანგეთის ქალაქ რენში ნორჩი ქართველი ემიგრანტები ქართველ ხელოვანებს შეხვდნენ

30 სექტემბერს, საფრანგეთის ქ. რენში, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტის, მეუფე აბრაამის კურთხევით, არქიმანდრიტ ანტონისა და დეკანოზ სპირიდონ გრიგოლაშვილის ორგანიზებით, გაიმართა ლიტერატურული შეხვედრა გამოჩენილ ქართველ პოეტებთან ტარიელ ხარხელაურთან, ეთერ თათარაიძესთან და თუშური სიმღერების უბადლო შემსრულებელთან, ლელა თათარაიძესთან. შეხვედრის დროს ქ, რენში მცხოვრებმა ქართველმა მოზარდებმა - ქორეოგრაფიული ანსამბლების „იბერნი“ და „გვირილა“, ფოლკლორული ანსამბლის „წინწყარო“ მუსიკოსებმა საპატიო სტუმრებისთვის ქართული ცეკვები და სიმღერები შეასრულეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მადრიდში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

30 სექტემბერს, ქ. მადრიდში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი შეხვდა მადრიდში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების ხელმძღვანელებსა და დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მინისტრის მოადგილემ ვრცლად ისაუბრა საზღვარგარეთ ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლზე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დიასპორაში ეკლესიის როლსა და ავტორიტეტზე. ვლადიმერ კონსტანტინიდიმ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო და საგარეო საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან აქტიურ კომუნიკაციას, თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფას. მან მადრიდში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია როგორც არსებული პროექტების მიმდინარეობის, ისე სამომავლოდ დაგეგმილი ახალი დიასპორული პროექტების შესახებ. თავის მხრივ, დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს მათ საქმიანობაზე, არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამების განხორციელების მნიშვნელობას.

შეხვედრის დასასრულს მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდიმ მადლობა გადაუხადა დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების პედაგოგებსა და სათვისტომოს სხვა წარმომადგენლებს მათ მიერ გაწეული უდიდესი გარჯისთვის და აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს დიასპორის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებას.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO